ქ. თბილისი, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 01.14.15.001.418, ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები



ქ. თბილისი 2022 წელი

ქ. თბილისი, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 01.14.15.001.418, ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

ინდივიდუალური მეწარმე
„ზ. დევდარიანი“ ზ. დევდარიანი

დირექტორი
„ინჟინერ გეოლოგი“ ბ. დევდარიანი

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №№
1	2	3
	I ტექსტური ნაწილი	
1.	ტექნიკური დავალება	1 ფურცელი
2.	საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ანგარიში	20 ფურცელი
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
3.	ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევების სამუშაოს ანგარიში	12 ფურცელი
4.	ფოტომასალა - 28 სურათი	14 ფურცელი
	III გრაფიკული ნაწილი	
5.	საკვლევი უბნის ტოპო-გეგმა, მასშტაბით 1:500-თან, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზის დატანით	1 ფურცელი
6.	ჭაბურღილების სვეტების ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები	4 ფურცელი
7.	საკვლევი უბნის განივი და გრძივი ლითოლოგიური-გეოლოგიური ჭრილები	20 ფურცელი

ტექნიკური დავალება
საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

დამკვეთი – შპს "ბიურო-7" საიდენტიფიკაციო კოდი 211384795;

ობიექტის მდებარეობა – ქალაქი თბილისი, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.14.15.001.418;

დაპროექტების სტადია -მუშა დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი - ახალი მშენებლობა;

შენობების კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II კლასი;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება:

პროექტით გათვალისწინებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მოწყობა (სართულიანობა 8-9).

შენობის ტიპი -რკინაბეტონის ჩონჩხედი, ბლოკის ან აგურის შემავსებლით.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დროს მოხდეს ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დადგენა პროექტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების და შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დოკუმენტაცია გადმოგვეცეს აკინძული 2 ეგზემპლიარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა მასშტაბით 1:500-თან

დავალება გასცა შპს "ბიურო 7"

ქ. თბილისი, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 01.14.15.001.418, ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები

<u>I შესავალი</u> - შპს „ბიურო 7“-ის, საიდენტიფიკაციო კოდი 211384795 დავალებით, ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიან“-მა, 2022 წლის ნოემბერში, ქალაქ თბილისში, დელისი 3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.14.15.001.418, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოწყობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი:

- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების დაფუძვნების საკითხის გადაწყვეტა.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მიზნები და დასაპროექტებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

დასახული მიზნების მისაღწევად ჩატარებული იქნა შემდეგი სახის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები.

- მოპოვებული და შესწავლილი იქნა ხელთარსებული საფონდო მასალები, კერძოდ კი საკვლევი უბნის მიმდებარედ, 2021 წლის აპრილში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ნაკვეთი, ს/კ 01.14.15.001.289) ძირითადი ქანებიდან აღებულ ნიმუშებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგები;

- საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, თვითმავალი საბურღი დანადგარის “უგბ-1ვ” მისადგომ ადგილებში, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პ.ნ 02.01-08 მოთხოვნათა გათვალისწინებით, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაბურღული იქნა 11 ჭაბურღილი (№№1-11) სიღრმით ჭაბურღილები №1, 2,4 და 11 -10.0 მეტრი, ჭაბურღილი №3 -15.0 მეტრი, ჭაბურღილი №5-4.0 მეტრი, ჭაბურღილი №6-28.0 მეტრი, ჭაბურღილი №7-14.0 მეტრი, ჭაბურღილი №8-5.0 მეტრი, ჭაბურღილი №9 -18.0 მეტრი და ჭაბურღილი №10-8.0 მეტრი, საერთო მეტრაჟით -132.0 გრძივი მეტრი.

ჭაბურღილების სიღრმე გამოწვეულია ძირითადი ქანების წოლის სიღრმით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდა ჭაბურღილების ტამპონაჟი.

- ლაბორატორიული შესწავლისათვის, ჭაბურღილებიდან (სტრუქტურული ჭაბურღილი №6) აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 9 ნიმუში (აქედან 3 ნიმუში გამოფიტული და 6 ნიმუში სუსტად გამოფიტული ძირითად ქანებიდან), რომელთა კვლევის შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილის და სამუშაოს ანგარიშის სახით,

გრუნტების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საინჟინრო გეოლოგიური კვლევევის და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში აკადემიური დოქტორის გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

გრუნტების გეოტექნიკური კვლევები ჩატარდა შემდეგი სახსტანდარტების გამოყენებით:

- ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;

- ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა შეკუმშვაზე;

- ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;

- ГОСТ 21153,5-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ძვრაზე გამოცდით;

- ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ტოპოგეგმად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა მასშტაბით 1:500-თან, შესრულებული შპს "ალფა"-ს მიერ.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩაატარა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა ბ. დევდარიანმა.

II- საინჟინრო გეოლოგიური შესწავლილობა

საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200 000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მდ. მტკვრის ხეობაში 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წ).

ქ. თბილისისათვის თანამედროვე გეოლოგიური პროცესების გავრცელება, ფორმირების პირობები და დინამიკა განხილულია ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყერული მოვლენების მნიშვნელობა" 1949 წ.

სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები" 1949 წ.

თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადოებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974 წ.

გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები 1:50000 მასშტაბში აღმოსავლეთ საქართველოში (ლიხის ქედამდე), ჩატარებულია 1985-1900 წლებში (მ. გამყრელიძე, თ. კოპაძე). ასევე უფრო ადრე ქართლის დეპრესიის გეოლოგიური აგებულების შესახებ საკითხები განხილულია ა. ჯანელიძის შრომაში (1970 წ).

ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგიური კვლევები ჩატარებული აქვს ლ. მარუაშვილს (1971 წელი), დ. წერეთელს (1886 წელი) და სხვებს. აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა განხილული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური ბუნება და რელიეფის ტიპები.

III- კლიმატი

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოყენებულია მეტეოსადგურების მონაცემები და მოყვანილი იქნება საინჟინრო გეოლოგიური ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

IV-ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია

რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდინარე მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია,

ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება ატმოსფერული ნალექებით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია მდ. ვერე და დიღმისწყალი, ხოლო მარცხენა შენაკადიდან მდ. გლდანულა.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტის ნაირგვარობა, რომელიც გამოიხატა ორი ძირითადი ტიპის და ერთი ქვეტიპის გავრცელებაში. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მთიან ნაწილში მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან.

თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვაროვანია.

ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენა ნაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

მარცხენაპირეთის შემოგარენი უფრო დაბალია, უმეტესად ჩამოყალიბებულია გორაკ-ბორცვანი რელიეფი, რომლებიც მდინარეებით ნაკლებად არის დაღარული.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ძირითადად აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისი და მისი შემოგარენი აგებულია მესამეულ ასაკის ტერიგენული და ტუფოგენურ ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეული (მდინარეულ და ტბურ) ნალექებს.

მარჯვენა ნაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედა ეოცენურ დანალექებს, რომლებიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. აქ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დიღმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში.

ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები, უხეშშრეებრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექჩიები (ანდეზიტური საფრით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთის და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით.

თბილისის და მის მიდამოებში ფართოდ არის გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიური, დელუვიურ-პროლივიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. დელუვიური და დელუვიურ-პროლივიური ნალექები, რომლებიც მეტწილად თიხნარების, თიხების და ლაოსისებრი თიხებისაგან შედგება, გავრცელებულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირეთში და

სხვადასხვა სიმძლავრისაა. ტბიური ნალექები განვითარებული კუმისისა და ლისის ტბის ქვაბულში, აგრეთვე გავრცელებულია ზოოპარკისა და აკადემქალაქის ტერიტორიაზე.

თბილისისა და მის მიდამოებს რელიეფისათვის დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტო-ქედებზე. თბილისის მეწყრები და მეწყერული პროცესები შესწავლილი აქვს აკად. ალ. თვალჭრელიძეს.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (აკად. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია შედის თბილისის წნევიან, ნაპრალოვან და ნაპრალოვანიკარსტული წყლების სისტემაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამოიყოფა სამი ტიპის გრუნტის წყლები:

- მეოთხეული ასაკის გრუნტის წყლები;
- ზედა ეოცენური ასაკის ნაპრალური ცივი წყლები;
- შუა ეოცენური ასაკის ნაპრალური თერმული წყლები.

გრუნტის წყლები განვითარებულია გაშიშვლებული ქანების ელუვიურ ზონაში. წყაროების დებიტით გამოირჩევიან ზედა ცარცული ასაკის კარბონატული ქანების წყლები. გრუნტის წყლებს, ზედა ეოცენის ქვიშოვან-თიხოვანი ჰორიზონტების გამოკლებით, გააჩნიათ სუსტი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შემადგენლობა. გრუნტის ფოროვანი წყლები გავრცელებულია ალუვიურ ქვიშოვან-თიხოვან ნალექებში მდ. მტკვრის ჭალაში და მის დაბალ ტერასებზე. ისინი ხასიათდებიან კარგი სასმელი თვისებებით და საკმაოდ დიდი დებიტით.

შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი ქანების შრეებთან დაკავშირებულია თერმული წყლების გამოვლინებები. ისინი ანტიკლინის თაღურ ნაწილთან არიან კავშირში. თბილისის რაიონში 10 კმ^2-ის ფართობის ტერიტორიაზე გამოვლინებულია თერმული წყლების საბადო საერთო დებიტით 47 ლ/წმ-ში. აქ გავრცელებულია ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლები საერთო მინერალიზაციით 0.7 გ/ლ-მდე. ამ წყლების ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს. აუზის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებული ზედა ცარცული ასაკის კარბონატული

ნალექები შეიცავენ ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ სხვადასხვა მინერალიზაციის წყლებს.

რაიონის ჩრდილოეთ პერიფერიებში, მტკვრისა და იორის შუამდინარეთში, შუა მიოცენის ნალექებთან დაკავშირებულია შედარებით მცირე ფოროვანი და ფოროვან-ნაპრალოვანი მაღალი მინერალიზაციის მეთან-იოდ-ბრომიანი ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლების გამოვლინებები.

წყალდაწნევითი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა პლიოცენის ლაგუნურ-კონტინენტურ ნალექებთან არის დაკავშირებული მცირე წნევიანი ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი წყლების გამოვლინებები.

უშუალოდ საკვლევ უბანზე ზედაპირული წყლების მუდმივი წყალსადინარი არ არის. ზედაპირული წყლები მხოლოდ წვიმისა და თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით და ფართობულ ხასიათს ატარებს.

V. საინჟინრო გეოლოგიური პირობები

ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადად კარგად შესწავლილია. არსებობს 600 000 მასშტაბის საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, გეოტექტონიკური, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკები და განმარტებითი ბარათები.

სხვადასხვა დროს საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებია ჩატარებული, მაგრამ არსებული მასალები საკმარისი არ არის მშენებლობისათვის გამოყოფილ ცალკეული უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასახასიათებლად. კვლევები აუცილებელია, რადგან არსებული მასალა ვერ უზრუველყოფს დეტალურობის საჭირი ხარისხს.

საკვლევი უბანი მდებარეობს ქალაქ თბილისში, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №01.14.15.001.418.

საკვლევი უბნის საზღვრებია:

- ჩრდილოეთიდან – ინტენსიფიკაციის საავტომობილო გზა;
- სამხრეთიდან – შიდა გზა;

- დასავლეთიდან – ცარიელი ტერიტორია;
- აღმოსავლეთიდან – სასაფლაოს ტერიტორია;

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს ძირითადად სამხრეთისაკენ, სხვადასხვა კუთხით დახრილი (დიაპაზონი 30-45 გრადუსი) ნუცუბიძის ფერდის ნაწილს, რომლის რელიეფიც ტექნოგენურია და რომლის აბსოლიტური ნიშნულები, საკვლევი უბნის ფარგლებში მერყეობს 455.90-490.90 მეტრის დიაპაზონში.

საკვლევი უბანი გაუნაშენებელია, დაფარულია ბალახით, წინა წლებში გვერდზე მიმდებარე მშენებლობებიდან გამოტანილი გრუნტით და ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში მრავალწლიანი ნარგავებით.

საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

პ.ნ 01.05-08-ის (“სამშენებლო კლიმატოლოგია”) თანახმად, საკვლევი უბნის ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- წლის საშუალო ტემპერატურა - $+12.2^0C$;
- ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი - -23^0C;
- ტემპერატურის აბსოლიტური მაქსიმუმი - $+40.0^0C$;
- ნალექების რაოდენობა წელიწადში - 560.0 მმ;
- ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ - 37.0 მ/წ;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0.73 კპა; 15 წელიწადში ერთხელ - 0.85 კპა;
- ქარის გაბატონებული მიმართულება - ჩრდილო-დასავლეთის;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14;
- გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე -0 სმ.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და საკვლევი უბნის განივი და გრძივი ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 3.00-21.00 მეტრის სიღრმიდან, გამოკვლეულ 5.0-28.0 მეტრის სიღრმემდე,

გავრცელებულია ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის ძირითადი ქანები, წარმოდგენილი თხელ და საშუალო შრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და თხელშრეებრივი არგილითების მორიგეობით. ძირითადი ქანები ეროზიული ზედაპირიდან 1.30-2.80 მეტრის სიღრმემდე გამოფიტულია (ფენა 2), ხოლო სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი მცირდება და გადადის სუსტად გამოფიტულში (ფენა 3).

ქვიშაქვები სერი ფერისაა, წვრილ და საშუალო მარცვლოვანია, თხელ და საშუალოშრეებრივი თიხოვან ცემენტზე, არგილითები მუქი ყავისფერი, მოშავო ფერისაა, ფირფიტისებრი აღნაგობის. ქვიშაქვები და არგილითები ურთიერთმონაცვლეობენ, მათი შეფარდება გეოლოგიურ ჭრილში 70/30-ზეა. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია:

- მიმართების აზიმუტი: სამხრეთ-დასავლეთის 195-210^0;
- დაქანება – სამხრეთ-აღმოსავლეთის 105-130^0;
- დახრის კუთხე: 26-33 გრადუსი.

ზემოთაღწერილი ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულია 3.00-21.00 მეტრის სიმძლავრის ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტით, ნაყარით - წარმოდგენილი სამშენებლო ნაგავით, ძირითადი ქანების ნატეხებით, ლოდებით, ხვინჭით და ღორღით, იშვიათად თიხოვანი გრუნტით (ფენა 1).

ტექნოგენური გრუნტის დიდი სიმძლავრე გამოწვეულია გვერდზე წინა წლებში მიმდინარე მშენებლობებიდან ქვაბულის გახსნის შედეგად გამოტანილი გრუნტის შემოტანით.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი გამოკვლეულ 5.00-28.00 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (ნოემბერი, 2022 წელი).

როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, საკვლევ უბანზე გავრცელებულ ძირითად ქანებიდან აღებული იქნა გრუნტის დაურღვეველი სტრუქტურის 9 ნიმუში (მონოლითი), აქედან 3 ნიმუში გამოფიტული და 6 ნიმუში სუსტად გამოფიტული ძირითად ქანებიდან (სტატისტიკური დამუშავებისათვის გამოყენებულია მეზობელ უბანზე ს/კ 01.14.15.001.289 ლაბორატორიული კვლევების შედეგები).

ორივე ფენის (ფენა 2 და 3) ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა სახსტანდარტის 5180-84 და 21153.2-84-ის მიხედვით, განსაზღვრული იქნა ფენის სიმკვრივე, სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე ჰაერმშრალი და წყალგაჯერებული მდგომარეობაში. გამოთვლილია დარბილების კოეფიციენტი. სულ ფენა 2-ის გამოფიტული ძირითადი ქანებისათვის გამოიცადა 9 ნიმუში.

ქვემოთ ცხრილ 1-ში მოცემულია ფენა 2-ის გამოფიტული ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები.

ცხრილი 1

№№	ჭაბ. № და ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ³	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე $R_{c\pi}$ მპა		დარბილების კოეფიციენტი K_{sof}
			მშრალი	წყალგაჯერებული	
1	-	2.32	9.5	5.4	0.57
2	-	2.33	12.2	7.1	0.58
3	-	2.35	16.0	9.3	0.58
4	6 – 21.0 მ	2.37	21.1	13.2	0.63
5	6 – 22.0 მ	2.38	22.3	14.0	0.63
6	6 – 23.2 მ	2.39	23.5	14.8	0.63
7	-	2.32	9.1	5.2	0.57
8	-	2.33	11.2	6.4	0.57
9	-	2.33	12.1	7.0	0.58
საშუალო		2.35	15.2	9.15	0.59

როგორც ცხრილიდან ჩანს ქვიშაქვების საშუალო სიმკვრივე ρ-2.35 გ/სმ³, სიმტკიცის ზღვარის საშუალო მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c - 9.15$ მპა ტოლია, რაც სახსტანდარტი 251000-82 ცხრილი 3-ის თანახმად განეკუთვნება საშუალო სიმტკიცის გრუნტების ნაირსახეობას. გრუნტი დარბილებადია, ყველა მნიშვნელობა $K_{sof} < 0.75$-ზე ფენის გახსნის სიმძლავრე 1.30-2.80 მეტრია.

ფენის საანგარიშო მნიშვნელობების დასადგენად ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული სიმტკიცის ზღვრის მაჩვენებლის (წყალგაჯერებულ პირობებში) სტატისტიკური დამუშავება, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

№	R_c' (მპა)	$R_c^ნ$(მპა)	$R_c^ნ - R_c'$ (მპა)	$(R_c^ნ - R_c')^2$ (მპა)
1	5.2	9.15	3.95	15.6
2	5.4	9.15	3.75	14.06
3	6.4	9.15	2.75	7.56
4	7.0	9.15	2.15	4.62
5	7.1	9.15	2.05	4.20
6	9.3	9.15	-0.15	0.02
7	13.2	9.15	-4.05	16.40
8	14.0	9.15	-4.85	23.52
9	14.8	9.15	-5.65	31.92
Σ	82.4	-	-	117.9

ნორმატიული მნიშვნელობა $R_c^ნ = 82.4 : 9 = 9.15$ მპა შემოწმება უხეშ შეცდომაზე $(R_c^ნ\text{-}R_c') \leq ν ნ_{გად}$

როცა $n = 9$ $\nu = 2.35$

$$ნ_{გად} = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(R_c^ნ - R_c')} = \sqrt{\frac{117.9}{9}} = 3.62$$

$ν ნ_{გად}$=3.62×2.35=8.51

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $(R_c^ნ\text{-}R_c') \leq ν ნ_{გად}$, ამიტომ R_c' ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}(R_c^ნ - R_c^{'})^2} = \sqrt{\frac{117.9}{8}} = 3.84$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$\nu = \frac{3.84}{9.15} = 0.42 \text{ ანუ } 42\%$$

გამოვთვალოთ R_c მნიშვნელობა პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით)

$\alpha = 0.95$ თუ $n - 1 = 9 - 1 = 8$ გვაქვს $t_\alpha = 1.86$

სიზუსტის მაჩვენებლები

$$\rho = \frac{t_\alpha \times \nu}{\sqrt{n}} = \frac{1.86 \times 0.42}{\sqrt{9}} = 0.26$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$K_გ = \frac{1}{1 \pm \rho} = 1.35$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$R_c' = \frac{R_c^ნ}{K_გ} = \frac{9.15}{1.35} = 6.77 \text{ მპა ანუ } 67.7 \text{ კგძ/სმ}^2$$

ვინაიდან ქვიშაქვების და არგილიტების შეფარდება გეოლოგიურ ჭრილში 70/30-ზე, ხოლო წყალში გამოცდისას არგილიტები იშლებიან, ფენის საშუალო საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად გამოთვლილი $R_c' = 6.77$ უნდა შემცირდეს 30%-ით ანუ 2.06-ით, რაც 4.74 მპას-ს, 47.40 კგძ/სმ^2 ტოლია და მიღებული იქნეს საანგარიშოდ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ფენა 3-ის სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანებიდან აღებული და გამოცდილი იქნა 21 ნიმუში (მონოლითი). ქვემოთ ცხრილ №3-ში მოცემულია ფენა 3-ის სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები.

ცხრილი 3

№№	ჭაბ. № და ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე $R_{cπ}$ მპა		დარბილების კოეფიციენტი K_{sof}
			მშრალი	წყალგაჯერებული	
1	-	2.43	44.5	26.7	0.60
2	-	2.43	45.5	27.3	0.60
3	-	2.44	58.2	35.5	0.61

4	-	2.45	72.9	45.2	0.62
5	-	2.46	87.0	54.8	0.63
6	-	2.48	105.1	68.3	0.65
7	6 – 24.0 მ	2.41	34.2	22.0	0.64
8	6 – 24.8 მ	2.42	35.5	22.9	0.65
9	6 - 25.4 მ	2.43	36.3	23.5	0.65
10	6 - 26.00 მ	2.43	37.3	24.2	0.65
11	6 – 26.6 მ	2.44	39.2	25.5	0.65
12	6 - 27.50 მ	2.44	41.0	26.8	0.65
13	-	2.43	43.0	25.8	0.60
14	-	2.43	44.2	26.5	0.60
15	-	2.44	55.7	34.0	0.61
16	-	2.45	71.1	44.1	0.62
17	-	2.46	84.1	53.0	0.63
18	-	2.48	105.4	68.5	0.65
19	-	2.40	27.6	17.1	0.62
20	-	2.38	25.0	15.8	0.63
21	-	2.39	25.3	16.0	0.13
საშუალო		2.43	50.1	33.6	0.63

როგორც ცხრილიდან ჩანს ფენა 3-ის სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების (ქვიშაქვების) საშუალო სიმკვრივე ρ-2.43 გ/სმ^3, სიმტკიცის ზღვარის საშუალო მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c - 33.6$ მპა ტოლია, რაც სახსტანდარტი 251000-82 ცხრილი 3-ის თანახმად განეკუთვნება საშუალო სიმტკიცის გრუნტების ნაირსახეობას. გრუნტი დარბილებადია, ქვედა მნიშვნელობა $K_{sof} < 0.75$-ზე ფენის გახსნის სიმძლავრე სტრუქტურულ ჭაბურღილებში 0.20-3.50 მეტრია.

ფენის საანგარიშო მნიშვნელობების დასადგენად ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული სიმტკიცის ზღვრის

მაჩვენებლის (წყალგაჯერებულ პირობებში) სტატისტიკური დამუშავება, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრილ № 4-ში.

ცხრილი 4

№	R_c' (მპა)	$R_c^ნ$(მპა)	$R_c^ნ - R_c'$ (მპა)	$(R_c^ნ - R_c')^2$ (მპა)
1	26.7	32.5	5.8	33.64
2	27.3	32.5	5.2	27.04
3	35.5	32.5	-3.0	9.00
4	45.2	32.5	-12.7	161.29
5	54.8	32.5	-22.3	497.29
6	68.3	32.5	-35.8	1281.64
7	22.0	32.5	10.5	110.25
8	22.9	32.5	9.5	92.16
9	23.5	32.5	9.0	81.0
10	24.2	32.5	8.3	68.89
11	25.5	32.5	7.0	49.0
12	26.8	32.5	5.7	32.49
13	25.8	32.5	6.7	44.89
14	26.5	32.5	6.0	36.0
15	34.0	32.5	-1.5	2.25
16	44.1	32.5	-11.6	134.56
17	53.0	32.5	-20.5	420.25
18	68.5	32.5	-36.0	1296.0
19	17.1	32.5	15.4	237.16
20	15.8	32.5	16.7	278.89
21	16.0	32.5	16.5	272.25
Σ	683.5	-	-	6664.94

ნორმატიული მნიშვნელობა $R_c^{ნ} = 683.5 : 21 = 32.5$მპა შემოწმება უხეშ შეცდომაზე $(R_c^{ნ}\text{-}R_c') \leq ν_{ნ_{გად}}$

როცა $n = 21$ $\nu = 2.80$

$$ნ_{გად} = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}(R_c^{ნ} - R_c')} = \sqrt{\frac{6664.94}{21}} = 17.8$$

$$ν_{ნ_{გად}} = 17.8 \times 2.80 = 49.88$$

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $(R_c^{ნ}\text{-}R_c') \leq ν_{ნ_{გად}}$, ამიტომ R_c' ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}(R_c^{ნ} - R_c^{'})^2} = 18.25$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$\nu = \frac{18.25}{32.5} = 0.56 \text{ ანუ } 56\%$$

გამოვთვალოთ R_c მნიშვნელობა პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით)

$\alpha = 0.95$ თუ $n - 1 = 21 - 1 = 20$ გვაქვს $t_\alpha = 1.72$

სიზუსტის მაჩვენებლები

$$\rho = \frac{t_\alpha \times \nu}{\sqrt{n}} = \frac{1.72 \times 0.56}{\sqrt{21}} = 0.21$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$K_{გ} = \frac{1}{1 \pm \rho} = 1.27$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$R_c' = \frac{R_c^{ნ}}{K_{გ}} = \frac{32.5}{1.27} = 25.59 \text{ მპა ანუ } 255.9 \text{ კგძ/სმ}^2$$

ვინაიდან ქვიშაქვების და არგილიტების თანაფარდობა 70/30-ზე, ხოლო წყალში გამოცდისას არგილიტები იშლებიან, ფენის საშუალო საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად გამოთვლილი $R_c' = 25.59$ უნდა

შემცირდეს 30%-ით ანუ 7.67-ით, რაც 17.92 მპას-ს, 179.2 კგძ/სმ^2 ტოლია და მიღებული იქნეს საანგარიშოდ.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნაში შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო მოედანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან როგორც სამშენებლო უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ს.ნ და წ 02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება II კატეგორიას - საშუალო სირთულის.

უარყოფითი ფაქტორია ფერდის დახრა, აგრეთვე ფერდის დახრის და ძირითადი ქანების წოლის ელემენტების ნაწილობრივ თანხვედრა.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოკვლეული უბნის გეოლოგიურ ჭრილში შეიძლება გამოვყოთ 2 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.)

I ს.გ.ე - გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 2);

II ს.გ.ე - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3).

3. დასაპროექტებელი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლებიდან და გამოკვლეული სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე ფუძე გრუნტებად შეიძლება მიღებული იქნეს ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტები ფენა 2-ის და ფენა 3-ის გამოფიტული და სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანები.

საძირკვლების ტიპად მიღებული იქნეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული საძირკვლები - ლენტური, წერტილოვანი (ცალკემდგომი), ხიმინჯები.

4. ფერდის დახრისა და ძირითადი ქანების წოლის ელემენტების ნაწილობრივ თანხვედრის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია საძირკვლების მოწყობისას მოხდეს საძირკვლების ჩაანკერება და საძირკვლების ძირში მოწყობილი იქნეს ე.წ. „ქუსლი“.

5. ქვემოთ ცხრილ 5-ში მოცემულია ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტების აუცილებელიფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, საარქივე მასალების, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

ცხრილი 5

№ №	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები	
		I სგე (ფენა 2)	II სგე (ფენა 3)
1.	სიმკვრივე ρ- გ/სმ^3;	2.35	2.43
2	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c\pi}$ მპა (კგძ/სმ^2)	4.74 (47.4)	17.92 (179.2)
3.	საგების კოეფიციენტი K-კგ/სმ^3	10	100
4.	პუასონის კოეფიციენტი μ	0.27	0.25
5.	გრუნტის ბეტონზე ხახუნის კოეფიციენტი f	0.70	0.75

6. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი გამოკვლეულ 5.0-28.0 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (ნოემბერი, 2022 წელი).

ქვაბულის მოწყობისას არ არის გამორიცხული ძირითადი ქანების ფენიდან ლოკალური გრუნტის წყლის გამოვლინებას, რომლის დებიტიც და ქიმიური შემადგენლობა (საფონდო მასალების მიხედვით აღნიშნული

წყლები ხასიათდებიან აგრესიული თვისებებით). უნდა დადგინდეს გამოვლინების შემთხვევაში.

7. ფერდის დახრის გამო, მიწისქვეშა სართულის კედლების ზედაპირული წყლებიდან დასველების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტით გათვალისწინებულ იქნეს წყალამრიდი სამუშაოების ჩატარება და მოხდეს მიწისქვეშა სართულის ჰიდროიზოლაცია.

8. ფერდის დიდი სიმძლავრის ფენის მოჭრის შემთხვევაში, მომავალში ლოკალური უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროექტით გათვალისწინებული იქნეს სამაგრი კედლის მოწყობა.

9. მიუხედავად იმისა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის გამოკვლევების მიხედვით, "ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასებისთვის" გამოკვლეული უბანი ხვდება მაღალი რისკის ზონაში, უარყოფითი ფაქტორების განვითარება არ შეიმჩნევა. ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოწყობა და ექსპლუატაცია, მომავალში გამოკვლეულ ტერიტორიაზე უარყოფითი გეოდინამიკური პროცესების განვითარებას არ გამოიწვევს, ტერიტორია მდგრადია, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დამატებით საინჟინრო ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

10. პ.ნ 01.01-09-ის "სეისმომედეგი მშენებლობა" თანახმად ქალაქი თბილისი მდებარეობს 8 ბალიან სეისმურობის ზონაში. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად, სამშენებლო მოედანი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო უბნის სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი.

11. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნას ს.ნ და წ 3.02.01-87-ის პ.პ. 3.11; 3.15 და ს.ნ და წ III -4.80 მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო მოედანზე გავრცელებული გრუნტები ს.ნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი, ნაყარი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ№24^ა).

ბ) გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 2) - ხელით VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით - 2350 კგ/მ^3 (რვუტოლებთ 28^ბ).

გ) სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 3) - ხელით - VII ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2440 კგ/მ^3 (ვუტოლებთ 28^გ)

ინჟინერ გეოლოგი ბ. დევდარიანი

სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტი.
საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის,
საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების ლაბორატორია.

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია ქ. თბილისში, დელისის - სამი საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№ 01.14.15.001.418, ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო ტერიტორიაზე აღებული ქანების სინჯების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე

სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
აკადემიური დოქტორი გიორგი ბალიაშვილი

თბილისი 2022 წ.

1. ანგარიში წარმოდგენილია 12 გვერდზე. შეიცავს 6 ცხრილს და 9 ნახაზს.
2. სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე;
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 21153,5-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ძვრაზე გამოცდით;
5. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის, საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში. ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 55 წლის და ბეტონების მიმართულებით 21 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გიორგი ბალიაშვილის მიერ. კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.

ცხრილი1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	ჭაბურღილის №	სინჯის აღების სიღრმე, მ **H**	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, **K**	დრეკადობის (იუნგის) მოდული წყალნაჯერ მდგომარეობაში, **E**	შიგა ხახუნის კუთხე, გრადუსი **φ**	შეჭიდულობა, მეგპა **C**	სიმკვრივე, გ/სმ³ **ρ**
				გამომშრალ მდგომარეობაში, **Rd**	წყალნაჯერ მდგომარეობაში **Rw**					
1	ქვიშაქვა გამოფიტული	6	21,0	21,1	13,2	0,63	3101,8	24,0	3,68	2,37
2	ქვიშაქვა გამოფიტული	6	22,0	22,3	14,0	0,63	3273,0	24,5	3,88	2,38
3	ქვიშაქვა გამოფიტული	6	23,2	23,5	14,8	0,63	3444,2	24,5	4,09	2,39
4	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	24,0	34,2	22,0	0,64	4985,1	26,0	5,83	2,41
5	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	24,8	35,5	22,9	0,65	5177,7	26,5	6,03	2,42
6	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	25,4	36,3	23,5	0,65	5306,1	26,5	6,17	2,43
7	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	26,0	37,3	24,2	0,65	5455,9	26,5	6,33	2,43
8	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	26,6	39,2	25,5	0,65	5734,1	26,5	6,62	2,44
9	ქვიშაქვა სუსტად გამოფიტული	6	27,5	41,0	26,8	0,65	6012,3	27,0	6,90	2,44

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	კლდოვან, ნაკლებად მტკიცე[1]	მკვრივი[3]	დარბილებადი
2	კლდოვან, ნაკლებად მტკიცე[1]	მკვრივი[3]	დარბილებადი
3	კლდოვან, ნაკლებად მტკიცე[1]	მკვრივი[3]	დარბილებადი
4	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი
5	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი
6	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი
7	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი
8	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი
9	კლდოვან, საშუალო სიმტკიცის[2]	მკვრივი[3]	დარბილებადი

შენიშვნა: *1– შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მეოთხე რეიტინგის; 2-მესამე რეიტინგის, 3- ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.*

ცხრილი 3- სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

სინ-ჯის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრი-ვე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფი–ნის	ნიმუ-შის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	40,21	45,39	24,52	3,98	16,89	2,38
	2	40,22	45,39	24,48	3,87	17,04	2,36
2	1	40,23	45,39	24,91	3,58	16,90	2,38
	2	40,24	45,39	24,79	3,69	16,91	2,38
3	1	41,02	45,39	24,35	4,02	17,02	2,41
	2	41,03	45,39	24,05	4,03	17,31	2,37
4	1	41,08	45,39	24,26	4,08	17,05	2,41
	2	41,09	45,39	24,18	4,09	17,12	2,40
5	1	42,03	45,39	24,57	3,45	17,37	2,42
	2	42,09	45,39	24,53	3,47	17,39	2,42
6	1	42,01	45,39	24,75	3,49	17,15	2,45
	2	42,07	45,39	23,95	3,98	17,46	2,41
7	1	42,06	45,39	24,09	3,99	17,31	2,43
	2	42,07	45,39	45,39	3,97	17,38	2,42
8	1	39,58	45,39	45,39	4,02	16,09	2,46
	2	39,57	45,39	43,01	4,02	16,35	2,42
9	1	39,65	45,39	42,99	4,03	16,25	2,44
	2	39,67	45,39	43,09	4,03	16,26	2,44

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის									
	№	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღ-ლე, სმ	ფართობი, სმ²	მასშტაბური კოეფიციენტი	ძალა, კგძ	სიმტკიცე, მეგპა	დრეკადობის მოდული, მეგპა	მდგომა-რეობა გამოცდი-სას
1	1	3,11	3,12	3,13	9,70	0,80	2500	21,0		მშრალი
	2	3,11	3,11	3,13	9,67	0,80	2515	21,2		
	3	3,09	3,10	6,25	9,58	1,00	1220	13,0	3101,8	წყალნაჯერი
	4	3,12	3,12	3,15	9,73	0,80	1600	13,4		
2	1	3,10	3,10	3,14	9,61	0,80	2665	22,6		მშრალი
	2	3,10	3,10	3,13	9,61	0,80	2595	22,0		
	3	3,09	3,09	6,19	9,55	1,00	1265	13,5	3273,0	წყალნაჯერი
	4	3,10	3,10	3,11	9,61	0,80	1710	14,5		

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

